საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები

2025 წელი



27.02.2026
www.geostat.ge

27.02.2026

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები (2025 წელი)

2025 წელს საქართველოში 191 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდა, მათ შორის 140 საჯარო და 51 კერძო.

2025 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 19.7 ათასი სტუდენტი ჩაირიცხა, რომელთაგან 53.7 პროცენტი ქალია, ხოლო 46.3 პროცენტი - კაცი. სტუდენტების მიღების მაჩვენებელი 2024 წელთან შედარებით 15.3 პროცენტით გაიზარდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ჩარიცხული სტუდენტების განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, 2025 წელს.

დიაგრამა №1

ჩარიცხული სტუდენტების განაწილება პროგრამების მიხედვით, 2025 წელს



რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი სტუდენტი ჩაირიცხა ქ. თბილისში (40.1%), შემდეგ მოდის აჭარის არ (19.3%), იმერეთი (11.5%), ქვემო ქართლი (10.0%), სამეგრელო-ზემო სვანეთი (7.4%) და კახეთი (4.1%).

2025 წელს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 238 სტუდენტი ჩაირიცხა, რომელთაგან 35.7 პროცენტი ქალია, ხოლო 64.3 პროცენტი - კაცი. რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი სტუდენტი ჩაირიცხა ქ.თბილისში (50.4%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების განაწილება რეგიონების მიხედვით, 2025 წელს.

დიაგრამა №2

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ჩარიცხული სტუდენტების განაწილება რეგიონების მიხედვით, 2025 წელს



27.02.2026

2025 წელს, კურსდამთავრებულთა რიცხოვნობამ 10.5 ათასი შეადგინა, რომელთაგან 47.1 პროცენტი ქალია, ხოლო 52.9 პროცენტი - კაცი. კურსდამთავრებულთა უმეტესობა მოდის მომსახურებების (23.1%), ინჟინერიის, წარმოების და მშენებლობის (21.4%) და ბიზნესის, ადმინისტრირების და სამართლის (15.0%) პროგრამებზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, 2025 წელს.

დიაგრამა №3

კურსდამთავრებულთა განაწილება
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, 2025 წელს



საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600), E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge